GRUNI

გრუნი

შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY LTD

2024 წელი

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის დეკანი
პროფესორი ვახტანგ ჭარაია

დეკანის ასისტენტი
ნინო ქობალია

პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესორი თეა სამჭკუაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელი
პროფესორი ზვიად გაბისონია

ოფისის მენეჯერი
ნინო მერაბიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა შექმნას მაღალი აკადემიური კულტურა და ინტელექტუალური სიმდიდრე, დაამკვიდროს ხარისხიანი და პროდუქტიული სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა და საზოგადოებას უმაღლესი სტანდარტის სხვადასხვა სახის სერვისი შესთავაზოს. ამ ფასეულობებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევების წახალისების, განათლების ხარისხის სრულყოფის, საერთაშორისო კავშირების გაღრმავებისა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერებისთვის.

GRUNI

შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY LTD

2024 წელი

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა

ლექციები ტალინის უნივერსიტეტში

Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, ასისტენტ-პროფესორმა ზურაბ აზნაურაშვილმა წაიკითხა ლექციები ტალინის უნივერსიტეტში.

თემები მოიცავდა ასოცირების შეთანხმების როლს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობას.

ციფრული მმართველობის სწავლების გაძლიერება

USAID-ის მხარდაჭერით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა ციფრული მმართველობის სწავლების ახალი მოდულები საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის, რამაც საერთაშორისო ექსპერტების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

საგანმანათლებლო და პრაქტიკული ღონისძიებები

ტრენინგი საჯარო მოხელეებისათვის

2024 წლის 25-26 მარტს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, საჯარო მმართველობის დოქტორმა თეა სამჭკუაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეებისათვის ჩაატარა 2-დღიანი ტრენინგი - „მოხელის როლი და ღირებულებები საჯარო სამსახურში“.



ტრენინგის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საჯარო სამსახურში საქმიანობის პრინციპები, თანამდებობათა კლასიფიცირება, მოხელის კარიერის მართვა, მოხელის უფლებები, გარანტიები და მოვალეობები, დისციპლინური პასუხისმგებლობა, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში და სხვ. მოცემული საკითხები მონაწილეებმა გაანალიზეს პრაქტიკაში მათი გამოყენების სირთულის თვალსაზრისით.

ამასთან, ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციის ფარგლებში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ხელს უწყობს საჯარო მმართველობითი პროცესის ეფექტიანად განხორციელებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ტრენინგი

საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლისა და ახალგაზრდა დოქტორთა კლუბის ორგანიზებით, ჩატარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სასერტიფიკატო ტრენინგი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოფიო შამუგია.

ტრენინგის მიზანი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ საბაზისო ცოდნის შექმნა, რის შედეგადაც მონაწილეები შეძლებენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციის შესრულებას.

ვორქშოფი წყაროების დამოწმების წესის თაობაზე

2024 წლის 25 მარტს უნივერსიტეტში პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეულის ფარგლებში გაიმართა მეორე შეხვედრა სტუდენტებთან.

უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა გიორგი მირიანაშვილმა ჩაატარა ვორქშოფი წყაროების დამოწმების წესის თაობაზე. შეხვედრაზე განიხილეს უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ადმინისტრაციული ზომები აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევებთან დაკავშირებით.

გრუნის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტმა ნინო აბესაძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო სტიპენდია მოიპოვა.

15 მარტს, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამასთან თანამშრომლობის ფარგლებში, დოქტორმა თიმ ბუნიევაცმა გრუნის სტუდენტებისათვის წაიკითხა საჯარო ლექცია - „საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულება“.

მოწვეული სტუმარი სტუდენტებს ესაუბრა საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თეორიისა და პრინციპების შესახებ, გააცნო ამ სისტემაში საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სტანდარტები.

ანტიკორუფციული ბიურო - გრუნის პარტნიორი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტს ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი რაჟდენ კუპრაშვილი და პროფესორი ზვიად გაბისონია სტუმრობდნენ.

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია ჩაატარა, განიხილა ბიუროს საქმიანობის პრინციპები, მექანიზმები და ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილება, ახალგაზრდებს გააცნო საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია.

ლექციის შემდეგ გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმიც, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლასთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი და სხვა მიზნობრივი პროექტების განხორციელებას, ასევე, სასწავლო პროექტების ორგანიზებას, რომელიც მიმართულია სამეცნიერო-კვლევების, ანტიკორუფციული საკითხების პოპულარიზაციის, სტუდენტების განვითარებისა და პროფესიული კადრების აღზრდის ხელშეწყობისკენ.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლის საბაკალავრო საფეხურის სამი სტუდენტი - მარიამ მექვაბიძე, ლიზი მარიამიძე და გიორგი რურუა იმყოფებიან საფრანგეთის ქალაქ რენის პოლიტიკური მეცნიერებების სკოლაში (Sciences Po Rennes), სადაც აგრძელებენ სწავლას და ამასთანავე, სამაგალითოდ წარმოაჩენენ ჩვენს უნივერსიტეტს.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტსა და Sciences Po Rennes-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ფინანსდება გრუნის სტუდენტების ყველა ხარჯი და სემესტრის ბოლოს მათ გადაეცემათ პოლიტიკური სკოლის სერტიფიკატი.

ლიდერობის საერთაშორისო კურსი

სკოლის პროფესორმა, დოქტორმა ღასან ხალილმა, 7-10 ივნისს ჩაატარა საერთაშორისო კურსი ღირებულებებზე დაფუძნებული ლიდერობის შესახებ, სადაც მონაწილეობდნენ საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

დოქტორ ღასან ხალილის მრავალწლიანი გამოცდილება, რომელიც მიიღო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო და აკადემიურ ინსტიტუციებში, ეფუძნება მხარდაჭერითი, ღირებულებებზე დაფუძნებული და ტრანსფორმაციული ლიდერობის პრინციპებს.

უპრეცედენტო აქტიურობები

- კომპანია „გალფმა“, წარჩინებულ სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, დაიწყო სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტი „მომავალი ჩვენია“, რომლის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 10 წარჩინებულ პირველკურსელს შორის არის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტი ნინო აბესაძე.
-
- ნინო აბესაძე 2024 წლის 22-28 იანვარს გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სან ფრანცისკოში, სადაც ზაზა ფაჩულიასთან ერთად დაესწრო NBA-ის მატჩს და Silicon Valley-ში ესტუმრა Google-ისა და Facebook-ის კამპუსებს.

GRUNI

შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY LTD

gruni.edu.ge

info@gruni.edu.ge

ტელ.: (+995 32) 2384406; (+995 32) 2382706

თბილისი 0159, ირინა ენუქიძის #3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

GRUNI GRUNI